სოფელ საირმის საერთო კრება

საერთო კრების ოქმი N 4

სოფელი: საირმე 27 დეკემბერი 2022 წელი

სოფელ საირმის ადმინისტრაციული შენობა დეკემბერი 2022 წელი, 12.00 სთ-14.00 სთ.

სოფლების ზედა და ქვედა გაერთიანებული საირმის საერთო კრება. აღნიშნულ დასახლებებში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა (საერთო კრების წევრთა) საერთო რაოდენობა შეადგენს 142 ამომრჩეველს.

კრებას ესწრება 66 ამომრჩეველი, ქალი-35, კაცი- 31, ბიზნესსექტორის წარმომადგენელი 5 კაცი

საერთო კრების თავმჯდომარედ არჩეულია ბესიკი ქარსელაძე (პირადი N49001013074)

საერთო კრების მდივნად არჩეულია ჯიმშერი ფრუიძე (პირადი N49001002187)

საკითხი: **საირმის სვეტებთან მისასვლელ ბილიკებზე ინფრასტრუქტურის მოწყობა**

საკითხის ინიციატორი- სოფ.ზედა და ქვედა საირმის მოსახლეობა

მერის წარმომადგენელმა საირმის ადმინისტრაციულ ერთეულში ბესიკ ქარსელაძემ საერთო კრებას გააცნო საირმის მოსახლეობის მიერ მომზადებული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც პრიორიტეტულად ჩაითვალა სოფელ საირმეში ტურიზმის განვთარების ხელშეწყობით, მცირე ბიზნესის განვითარების წინა პირობების შექმნა. მოსახლეობამ ერთხმად დაასახელა **საირმის სვეტებთან მისასვლელი ბილიკების კეთილმოწყობა,** რომლითაც შესაძლებელი იქნება ბიზნესის და ვიზიტორების მიმზიდველობის ზრდა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისათვის მდგომარეობის გაუმჯობესება, კერძოდ, სავაჭრო პავილიონების, სველი წერტილების და მოაჯირების მოწყობა.

ამასთან დაკავშირებით კრებას წარუდგინა მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შესყიდული პროექტი **საირმის სვეტებთან მისასვლელი ბილიკების კეთილმოწყობის შესახებ.**

აზრი გამოთქვა: გ. ალავიძემ, ვ. ბოჭორიშვილმა, ა. ალავიძემ, დ.კაბოსნიძემ

3. საერთო კრებამ მოიწონა მერის წარმომადგენლის წარმომადგენლის წინადადება სოფელ საირმეში სვეტებთან მისასვლელ ბილიკებზე ინფრასტრუქტურის მოწყობის შესახებ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 85 [2] მუხლის 1 პუნქტის, 85 [3] მუხლის 1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. მოწონებულ იქნეს წარმოდგენილი საპროექტო წინადადება სოფ.საირმეში სვეტებთან მისასვლელ ბილიკებზე ინფრასტრუქტურის მოწყობის შესახებ.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება შესაბამისი ღონისძიებების განსახორციელებლად გადაეცემა ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელიც დასრულდა შემდეგი შედეგებით;

მომხრე: 66
მოწინააღმდეგე: 0
ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა: 0

კრების თავმჯდომარე: /ბ. ქარსელაძე/

კრების მდივანი: /ჯ.ფრუიძე/